პროგრედიტ ბანკი №76.4893	953 237	დოლარი	18-მაისი-2016	30-დეკ-2019	5.50%	2 551 434	-	50622
პროგრედიტ ბანკი №76.4459	255 679	დოლარი	18-მაისი-2016	30-დეკ-2019	7.73%	684 350		45473
პროგრედიტ ბანკი №75.3201	455 637	ლარი	13-დეკ-2016	30-დეკ-2019	8.50%	455 637	-	44704
						3 691 421	-	140 799

9.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	426070	265 865	125 770
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	-	-	68 996
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	310 720	263 024	265 575
	<u>736 790</u>	<u>528 889</u>	<u>460 341</u>

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს საშემოსავლო გადასახადს 28 073 ლარს (2018: 118 004 ლარს საშემოსავლო გადასახადს).

10.შემოსავალი

ლარი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შემოსავალი		
ინვიტრო	6 350 000	6 224 875
ამბულატორია	3 145 375	2 450 125
ლაბორატორია	1 200 150	1 155 622
ქირურგია	2 484 236	1 277 775
მომსახურების უკან დაბრუნება	(16 634)	(11 027)
	<u>13 163 127</u>	<u>11 097 370</u>

11.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ნედლეული და მასალები	2 567 834	2 400 060
სხვა მარაგები	157 354	143 837
	<u>2 725 188</u>	<u>2 543 897</u>

ნედლეული და მასალები მოიცავს:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
მედიკამენტები	1 496 921	1 420 770
რეაქტივები	582 503	572 679
ნიადაგები	488 410	406 611
	<u>2 567 834</u>	<u>2 400 060</u>

12. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
კომუნიკაციის	16 354	13 037
კომუნალური	91 439	69 531
მიწვლილების ხარჯი	32 882	22 914
მიწოდება და რეკლამის ხარჯი	37 218	79 645
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	1 589	8 053
საბანკო ხარჯი	66 774	33 410
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(12 198)	(125 808)
საწვავის ხარჯი	13 873	13 268
საოპერაციო იჯარა	213 500	210 000
დაზღვევა	17 806	7 739
ხელფასი	4 747 602	4 400 585
ცვეთა და ამორტიზაცია	287 144	282 849
სხვა ხარჯები	<u>324 553</u>	<u>141 911</u>
	<u>5 838 536</u>	<u>5 157 134</u>

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
მომსახურება, დონორები	212 744	41 741
ანალიზის ხარჯი	415 405	112 936
სუროგატები	147 688	139 150
სხვა ხარჯი	<u>232 627</u>	<u>159 592</u>
	<u>1 008 464</u>	<u>453 419</u>

14. ფინანსური ინსტრუმენტები

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის დავალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სესხები და მოთხოვნები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6 943 571	1 604 506	1 932 773
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	602 037	1 553 493	796 217
	<u>7 545 608</u>	<u>3 157 999</u>	<u>2 728 990</u>

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მორტიზირებული ღირებულებით:			
სესხები	11 072 775	3 691 421	1 299 024
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>736 790</u>	<u>528 889</u>	<u>460 341</u>
	<u>11 809 565</u>	<u>4 220 310</u>	<u>1 759 365</u>

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

ტრანზაქცია	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
<i>მფლობელები</i>		
დოლარი		
მიღებული სესხები	400 000	
გადახდილი სესხები	(400 000)	
ლარი		
გადახდილი იჯარა	(213 500)	(210 000)
ლარი		
ძირითადი მმართველობის ხელფასი		
ხელფასი და სხვა პრემიები	992 755	974 533

16. პირობითი ვალდებულებები

ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი, რომელშიც ფუნქციონირებს შპს. ამ იჯარის ვადაა თერთმეტი წელია დაგეგმილია დასრულება საიჯარო ხელშეკრულების 2020 წელს. იჯარის ვადის განმავლობაში გადახდილია 1 321 700 ლარი და მომავალში გადასახდელია 168 240 ლარი.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც აღიარებულია ხარჯად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საოპერაციო იჯარა	213 500	210 000
	213 500	210 000

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

მენემენტის განმარტებით, 2020 წლის მეორე ნახევარში შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი გადადის ახალ კლინიკაში, რომლის მშენებლობა სრულდება. დაგეგმილია ყველა განყოფილების გაფართოება და სამშობიაროს გახსნა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლინიკა აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

დღეისათვის, კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი, თუმცა მენეჯმენტმა განიხილა ბიზნესის რამდენიმე ასპექტი და შეაფასა რისკები. მენეჯმენტი გააგრძელებს კოვიდ 19-ის პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას ნებისმიერი ეფექტის შესამსუბუქებლად.

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი”

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” დაარსდა 2009 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურეობა კომპანიის იურიდიული მისამართით: ლუბლიანას ქ. 2/6 თბილისი, საქართველო. კომპანია 2019 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 1 ფილიალით, რომელიც მდებარეობს აჭარაში (მისამართი, ბათუმი ვახტანგ გორგასლის 159ბ)

2019 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 105-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” წარმოდგენს ერთ-ერთ ლიდერს, კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა, ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე კომპანიის შემოსავლები. მნიშვნელოვანი ხარჯებია 2019 წელს გაწეული მშენებლობაზე, რომელიც ასახულია ანგარიშგებაში დაუმთავრებელი მშენებლობის სახით.

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. 2019 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიას შეუმცირდა საოპერაციო მოგება, რაც გამოწვეულია ხარჯების გაზრდით. (2019 წელს 2018 წელთან შედარებით ხარჯების ზრდა გამოწვეულია ფასებისა და სავალუტო კურსის მატებით, ასევე აღსანიშნავია, რომ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი გაწეულია მშენებლობაზე). აღნიშნული მაჩვენებლები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” ძირითად საქმიანობას წარმოდგენს სამედიცინო მომსახურეობა, კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურეობის შეთავაზება და მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

მსოფლიო ტრენდები და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიები სდანიერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს.

მენეჯმენტის განმარტებით, 2020 წლის მეორე ნახევარში შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი გადადის ახალ კლინიკაში, რომლის მშენებლობა სრულდება. დაგეგმილია ყველა განყოფილების გაფართოება და სამშობიაროს გახსნა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლინიკა აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

დღეისათვის, კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი, თუმცა მენეჯმენტმა განიხილა ბიზნესის რამდენიმე ასპექტი და შეაფასა რისკები. მენეჯმენტი გააგრძელებს კოვიდ 19-ის პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას ნებისმიერი ეფექტის შესამსუბუქებლად.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანიის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგიდირექტორის, აღმასრულებელი დირექტორისა და ფინანსური მენეჯერის მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტინგისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და

პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2019 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, რადგან კომპანიას სასესხო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაშიც გააჩნია.

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი”

მმართველობითი ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” დაარსდა 2009 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება კომპანიის იურიდიული მისამართია: ლუბლიანას ქ. 2/6 თბილისი, საქართველო. კომპანია 2019 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 1 ფილიალით, რომელიც მდებარეობს აჭარაში (მისამართი, ბათუმი ვახტანგ გორგასლის 159ბ)

2019 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 105-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს, კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა, ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე კომპანიის შემოსავლები. მნიშვნელოვანი ხარჯებია 2019 წელს გაწეული მშენებლობაზე, რომელიც ასახულია ანგარიშგებაში დაუმთავრებელი მშენებლობის სახით.

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. 2019 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიას შეუძენდა საოპერაციო მოგება, რაც გამოწვეულია ხარჯების გაზრდით. (2019 წელს 2018 წელთან შედარებით ხარჯების ზრდა გამოწვეულია ფასებისა და სავალუტო კურსის მატებით, ასევე აღსანიშნავია, რომ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი გაწეულია მშენებლობაზე). აღნიშნული მაჩვენებლები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება, კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების შეთავაზება და მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

მსოფლიო ტრენდები და დადასტურებული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს.

მენეჯმენტის განმარტებით, 2020 წლის მეორე ნახევარში შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი გადადის ახალ კლინიკაში, რომლის მშენებლობა სრულდება. დაგეგმილია ყველა

განყოფილების გაფართოება და სამშობიაროს გახსნა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლინიკა აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

დღეისათვის, კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი, თუმცა მენეჯმენტმა განიხილა ბიზნესის რამდენიმე ასპექტი და შეაფასა რისკები. მენეჯმენტი გააგრძელებს კოვიდ 19-ის პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას ნებისმიერი ეფექტის შესამსუბუქებლად.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანიის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორისა და ფინანსური მენეჯერის მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი" დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2019 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, რადგან კომპანიას სასესხო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაშიც გააჩნია.

დირექტორი:

აუდიტ-კომპანი



AUDIT-COMPANY

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი”

(ს/ნ 202462708)

AUDIT COMPANY LLC

19 D Gamrekeli Street

Tbilisi, Georgia

2020

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი” (შემდგომში „საწარმო“) 2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე. საწარმოს ხელმძღვანელობამ ასევე მოამზადა და წარმოადგინა მმართველობითი ანგარიშგება. მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული განცხადებების ნაწილი წარმოადგენს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება საწარმოს გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, ბიზნეს სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას. მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე და მის გონივრულობაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

შპს “აუდიტ-კომპანი“-ს

(აუდიტორული ფირმის წომერი *SARAS-F-128338*)

დირექტორი, გარიგების პარტნიორი, **გ.გაგნიძე**

(ინდ. სარეგისტრაციო წომერი *SARAS-A-967119*)



**საქართველო, თბილისი,
28 სექტემბერი 2020 წელი.**

აუდიტ-კომპანი



AUDIT-COMPANY

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს “ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი”

(ს/ნ 202462708)

AUDIT COMPANY LLC

19 D Gamrekeli Street

Tbilisi, Georgia

2020



დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს (შემდგომში „საწარმო“) 2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 ფისკალური წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, ფულის მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და ინდივიდუალურ ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საწარმოს ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე საწარმოს ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი იმ შიდა კონტროლის მექანიზმის შექმნაზე რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობებს გამოწვეულს თაღლითობის და შეცდომების შედეგად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება წარმოვადგინოთ საკუთარი მოსაზრება აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAშ) შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, აუდიტი დაიგეგმოს და ჩატარდეს იმგვარად, რომ მივიღოთ გონივრული დასაბუთება, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურების განხორციელებას რათა მოპოვებულ იქნას აუდიტორული მტკიცებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და მონაცემების შესახებ. აღნიშნული პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის მნიშვნელოვანი უზუსტობების არსებობის რისკების შეფასებაზე. აუდიტი ასევე მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის და საბუღალტრო შეფასებების მიზანშეწონილობის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება არის საკმარისი და გონივრული, რაც ქმნის საფუძველს ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს საწარმოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისათვის რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „აუდიტ-კომპანი“

(აუდიტორული ფირმის ინდ. სარეგ. ნომერი SARAS-F-128338)

გია გაგნიძე დირექტორი, გარიგების პარტნიორი, აუდიტორი,

(აუდიტ.ინდ.სარეგ. ნომერი SARAS-A-967119)



თბილისი საქართველო

28 სექტემბერი, 2020